# ლოტბარი ტრისტან სიხარულიძე იუბილარია

## „ამ ბალანადან კაი მომღერალი დადგება“ - ვარლამ სიმონიშვილის ნათქვამი



რამდენიმე დღით დავასწრებთ მოვლენებს და ოზურგეთელ საზოგადოებას ვამცნობთ, რომ ქართული ხალხური სიმღერების დიდ მოამაგეს, ლოტბარს, ხელოვნების ქურუმს, ღირსების ორდენოსანს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სახელოვან სახალხო ანსამბლ „შვიდკაცას“ არანაკლებ სახელოვან სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ ტრისტან სიხარულიძეს 17 აგვისტოს 80 წელი უსრულდება!

როგორ იუბილარი იხსენებს, სიმღერაში გზა მამამ, ბატონმა ილარიონ სიხარულიძემ გაუკვლია:

„სიმღერაში გზა მამაჩემმა, ილარიონ სიხარულიძემ გამიკვლია. ოთხი წლის ვიყავი, როცა დამაწყებინა ურთულესი გურული სიმღერები. მამა დიდი ვარლამ სიმონიშვილის გუნდის წევრი იყო. ერთხელ რეპეტიციაზე წამიყვანა. ბატონმა ვარლამმა ჰკითხა, ვისია ეს ბალანაო? ჩემიაო, — წარმადგინა მამამ. სიმღერა თუ იცისო? — დაინტერესდა ბატონი ვარლამი. ცდილობსო. დამაწყებინეს „ჩვენ მშვიდობა“. ბატონმა ვარლამმა ბანი მომცა. როცა დავამთავრეთ, თავზე ხელი გადამისვა და თქვა, ამ ბალანადან კაი მომღერალი დადგებაო.“

ბატონ ტრისტანს ჰქონდა ბედნიერება, სკოლაში მისთვის სიმღერა ესწავლებინა ცნობილ ლოტბარსა და გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ არტემ ერქომაიშვილს. სკოლის დამთავრების შემდეგ მღეროდა ოზურგეთის კულტურის სახლთან არსებულ ანსამბლში, რომელსაც დიდი ვლადიმერ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა.

ჩაის ტექნიკუმის დამთავრებისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ ახლადაოჯახებული ბატონი ტრისტანი მიიწვიეს თბილისში, საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე გრიგოლ ჩხიკვაძე, რამაზ ჩხიკვაძის მამა. ორი წლის შემდეგ, ოჯახური მდომარეობის გამო, უკვე ცნობილი მოკრიმანჭულე დაუბრუნდა ოზურგეთს და ბატონმა მიხეილ შავიშვილმა ანსამბლ „შვიდკაცაში“ მიიწვია. 1970 წლიდან იწყება „შვიდკაცას“ ცნობილი გასტროლები ევროპაში, რომელშიც ბატონი ტრისტანი უცვლელად მონაწილეობდა.

ბატონი ტრისტანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საკოლმეურნეო მომღერალ გუნდებს სოფლებში — მერიაში, ქვედა ბახვში, კონჭკათში, ლიხაურში, დაბა ლაითურში...

ანასეულში მუშაობის პერიოდში ჩამოაყალიბა ანსამბლი „საიუბილეო“. ამავე დროს ოზურგეთის თეატრში განაახლა ანსამბლი „სახიობი“, რომელიც ადრე დაარსა მისმა მეგობარმა და თანასოფლელმა გური გოლიაძემ.

ბატონმა ტრისტანმა ასევე წარმატებით ილვაწა ბატონი ვანო ჩხარტიშვილის მიერ ოზურგეთში დაარსებულ ლოტბართა სკოლაში, სადაც ახალგაზრდა მომღერლებს შეასწავლა ორმოცდაათამდე გურული სიმღერა. თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული ლოტბარი 1995 წლიდან უცვლელად ხელმძღვანელობს სახელდებულ და პოპულარულ სახალხო ანსამბლს „შვიდკაცა“, ამავე დროს, არის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ქართული ტრადიციური სიმღერა-გალობის სკოლის კონსულტანტი.

ბატონი ტრისტანი იხსენებს იმ ბედნიერ დღეს, როცა ათი წლის წინათ, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის თაოსნობითა და ბატონი ვანო ჩხარტიშვილის ძალისხმევით, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში, დაბადების 70 წელთან დაკავშირებით, მას მოუწყვეს შთამბეჭდავი საიუბილეო საზეიმო საღამო:

„საზეიმო კონცერტის დამთავრების შემდეგ სიტყვა გადასცეს ანზორ ერქომაიშვილს, რომელმაც თქვა: „მე ბატონი ტრისტან სიხარულიძის წინაშე ქუდს ვიხრი და მუხლებზე დავიჩოქებ.“ ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი. აქვე დაუვიწყარი და ჩემთვის წარმოუდგენელი სიურპრიზი გამიკეთა ბატონმა ვანო ჩხარტიშვილმა, როცა სცენაზე პირადად გადმომცა „მერსედესის“ გასაღები.“

ბატონი ტრისტანი რომ დიდებული ოჯახის თავკაცია, ეს მთელმა დუნიამ იცის. რაც, რასაკვირველია, თავისი მეუღლის, თანაკლასელის, დამსახურებული ბიბლიოთეკარის, ქალბატონი რუსუდან მამინაშვილის ღვაწლიცაა. ჰყავთ ორი შვილი და სამი შვილიშვილი, რომლების ასევე კარგად არიან დაუფლებული გურულ ქხალხურ სიმღერებს.

ვულოცავთ, ქართული ხალხურის სიმღერების ამ მართლაც დიდ მოამაგეს, ბატონ ტრისტან სიხარულიძეს იუბილეს, რომელსაც 80 წლისა არაფერი ეტყობა. ვუსურვებთ ასე მხნე, ხალისიან, ხანგრძლივ სიცოცხლეს, დიდხანს, დიდხანს ეკრიმანჭულოს ამა სოფელსა შინა!

**თემურ მარშანიშვილი**


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 31 (10225) 7 აგვისტო, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.


## „ევროპულმა საქართველომ“ ოზურგეთში მერობის კანდიდატად მიხეილ გოგოტიშვილი წარადგინა




**ალიონი.** გასულ პარასკევს, „თამარიონის“ საკონფერენციო დარბაზში „ევროპულმა საქართველომ“ ოზურგეთის მერობის კანდიდატად **მიხეილ გოგოტიშვილის** კანდიდატურა წარადგინა.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერი **დავით ბაქრაძე:** ადგილობრივ არჩევნებზე არც მთავრობა იცვლება და არც პარლამენტი, მაგრამ არის კონკრეტული საკითხები, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. თუ ადგილობრივი ხელისუფლება ვარგა, 5-დან 4 პრობლემას მოაგვარებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნით საჯარო სამსახურებში პრემიებისა და ხელფასების დანამატის სახით, შარშან 321 მილიონი ლარი გაიცა, რომლითაც შესაძლებელი იყო პენსიების 20 ლარით გაზრდა.

დღეს შვილიშვილებს სოციალურ დახმარებას უხსნიან იმის გამო, რომ ბაბუას აგებულ სახლში ცხოვრობს. დაგროვითი პენსია ცალკე თემაა. როგორ უნდა დააგროვოს 50 წლის კაცმა დაგროვითი პენსია?

ინფრასტრუქტურამ შარშან 150 მილიონი ლარი ვერ აითვისა.

ბუნებრივი აირი ოზურგეთში 11,5 თეთრით გაძვირდა, თბილისში 0,5 თეთრით, როდესაც დედაქალაში ბუნებრივი აირს 50-ჯერ მეტი მომხმარებელი ჰყავს. ამჟამინდელი ფასი თბილისში კახი კალაძის საარჩევნო კამპანიას უკავშირდება. ბუნებრივი აირი არჩევნების შემდეგ იქაც გაძვირდება.

ჩვენი ამოცანაა ამჟამინდელი ხელისუფლება შევცვალოთ და უკეთესი მოვიყვანოთ. ეს ყოველივე უნდა მოხდეს საყოველთაო არეულობის გარეშე.

რეპორტაჟი

## რა ხდება ნაგომარსა და ბახვში და როგორ დაეხმარა სტიქიით დაზარალებულებს ხელისუფლება

**ალიონი.** როგორ თემების ისე ქალაქის მუნიციპალიტეტი ბოლო წლებში ასეულობით მოქალაქეს დაეხმარა სამშენებლო მასალებით თუ სახლების გადახურვით.

გასულ პარასკევს, ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროს **გოჩა აბაშმაძესთან** ერთად, სოფლები ნაგომარი და ბახვი მოვინახულეთ.

სოფელ ნაგომარში, ჟანაურას უბანში ტენდერში გამარჯვებული, ინდმეწარმე დავით სიჭინავა გზის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს. ამ ეტაპზე სანიაღვრე არხებს ჭრიან.

ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის გრიგოლ გოგიბერიძის თქმით, ასფალტი სოფლის ორ უბანში ჟანაურასა და შუა ისნარში იგება. სულ 3 კილომეტრამდე ასფალტი დაიგება, რაც ბოლო ათწლეულებში ყველაზე დიდი პროექტია სოფელში.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა სოფელში სამი სახლი




გადახურა და ხუთ ოჯახს დაეხმარა სამშენებლო მასალებით, - გვითხრა მან.

ჟანაურას უბანში ჯუმბერ გიგაურის სახლი მოვინახულეთ. იგი მარტოხელა და სოციალურად დაუცველია.

- 23 აპრილის სტიქიამ მნიშვნელოვნად დააზიანა ჩემი სახლი. სახურავი მთლიანად შესაცვლელი გახდა. მივმართე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს სოფელში. მათ აღმიძრეს შუამდგომლობა მუნიციპალიტეტში. მოვიდა კომისია დაშედეგს ხედავთ. დაზიანებული ხის კოჭები,ე.წ „ლარტყა“ შეცვალეს და 170 კვადრატული მეტრი თუნუქის სახურავი გადახურეს, — თქვა ჯუმბერმა.

სოციალურად დაუცველია შუა ისნარში მცხოვრები მოსე გაგუას 8-სულიანი ოჯახი. მოსე შშმ პირია, შშმ პირია მისი ვაჟიც.

- ადრე სხვა უბანში ვცოვრობდით. 1977 წელს საცხოვრებელი სახლი დაგვეწვა და მაშინდელმა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ სეზონური ბაგა-ბაღის შენობა დაგვითმო. მას შემდეგ ამ ამორ-


გვ-3



გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 21 აგვისტოს

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**
*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**
*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# სხდომაზე მხოლოდ სამი საკითხი განიხილეს



2 აგვისტოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** წარმართავდა.

სხდომა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის **დიმიტრი კვერღელიძის** იმ ინიციატივით დაიწყო, რომელიც დღის წესრიგიდან 4 საკითხის ამოღებასა და სამომავლოდ განხილვას შეეხებოდა. საკითხების სამომავლოდ განხილვა თავმჯდომარის მოადგილემ შემდეგი მოტივით ახსნა:

–აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს მეტი დრო საკრებულოს კანონშესაბამისად გამართული იმ სამართლებრივი აქტების პროექტების წარმოსადგენად, რომლებზედაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, სამართლებრივი ექსპერტიზის საფუძველზე, საკრებულოს რეკომენდაციებით მიმართა.

საკრებულოს წევრების მხარდაჭერით სხდომა 3 საკითხით განსაზღვრული დღის წესრიგით წარიმართა.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის II კვარტლის გეგმის შესრულება“, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა მიმოიხილა. 2017 წლის II კვარტლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში სულ 6 ცვლილება განხორციელდა და 1 ივლისის მდგომარეობით 19 744,9 ათ. ლარით განისაზღვრა. – ბოლო ექვსი თვის მონაცემებით, ბიუჯეტის შემოსულებებისა და გადასახდელების მდგომარეობა სტაბილურია–- აღნიშნა მან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ განკარგულება, საკარებულოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს.

საკრებულოს სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის შესახებ სამართლებრივი აქტები. უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სასოფლო-სამეურნეო მიწებია წარმოდგენილი, რომლის დამტკიცებას კომისიური განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება უსწრებდა წინ. ქონების პრივატიზება აუქციონის წესით განხორციელდება.

# გომისმთაზე დამსვენებლებს „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი" მოემსახურება

კურორტ გომისმთაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა(ა)იპ „მუნიციპალური მომსახურების ცენტრმა" 10 ერთეული ნაგვე ურნა განათავსა. დასუფთავების მანქანები კურორტს მთელი სეზონის განმავლობაში მოემსახურებიან.



# ეროვნული სატყეო სააგენტოს ორგანიზებით გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

შეხვედრაზე ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა **თორნიკე გვაზავამ,** სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში, 2017 წელს განსახორციელებელ ტყის აღრიცხვის საკითხებზე დეტალურად ისაუბრა.

შეხვედრას გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე,** გუბერნატორის პირველი მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი,** ქალაქ ოზურგეთის მერი **ბეგლარ სიორიძე,** ადგილობრივი თვითმართველობისა და სატყეო სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტის ფარგლებში სამუშაოების დროს დაზუსტდება ტყის ფონდის გარე საზღვრები, არსებული მერქნული და არამერქნული რესურსის რაოდენობა და ხარისხი, რის საფუძველზეც შემუშავდება მომავალი 10-წლიანი პერიოდისათვის ტყის მართვის გეგმა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა სატყეო სამეურნეო ღონისძიება.

სამუშაოები გურიის რეგიონში 86 000 ჰა ფართობზე უნდა ჩატარდეს, რომელიც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები ჩოხატაურის სატყეო უბნის ტერიტორიაზე მსოფლიო ბანკის დახმარებით **ENPI-FLEG II**-ის ფარგლებში, ხოლო, ოზურგეთსა და ლანჩხუთში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.



# დაბა ნარუჯაში რკინა-ბეტონის გზის მოწყობა მიმდინარეობს



დაბა ნარუჯაში 100 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის გზის მოწყობა მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს სისტემატურ მონიტორინგს უწევენ.

მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, გოჩა აბაშმაძემ დაბა ნარუჯაში გამგებლის წარმომადგენელთან, ზვიად მიქელაძესთან ერთად დაათვალიერა.

რკინა-ბეტონის საფარი დაბა ნარუჯის მე-2 რაიონში იგება.

პროექტის ღირებულება 12 761 ლარს შეადგენს.

სამუშაოები ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

# „მიწის რეგისტრაციის რეფორმა არაეფექტურია“



„მიწის რეგისტრაციის რეფორმა არაეფექტურია“ - ამის შესახებ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე საადვოკატო ბიურო **OK & CG**-ის ადვოკატმა, ქეთევან ქავთარაძემ განაცხადა.

მისივე ცნობით, მოქალაქეებისთვის რეგისტრაციის პროცესი გამარტივების ნაცვლად, გართულდა.

„სანამ რეფორმა ამოქმედდებოდა, განმცხადებელს თავად უწევდა არაერთი დოკუმენტის: მიწაზე უფლების დამდგენი დოკუმენტაციის მოძიება/შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა და საჯარო რეესტრში წარდგენა, ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ კი საჯარო რეესტრს დაევალა განმცხადებლის მიწის საკუთრების უფლების დამდგენი ყველანაირი დოკუმენტების მოძიება. საჯარო რეესტრი არასრულყოფილ ინფორმაციას ითხოვს სხვადასხვა უწყებიდან, ამ უკმარისობის გამო კი პროცედურის გახანგრძლივება ხდება, რაც მიწის მესაკუთრეს მეტად აფერხებს. დღემდე, 1 წლის წინ შეტანილ განცხადებაზე არაერთი ადამიანი ელის პასუხს“, -განაცხადა ქავთარაძემ.

ადვოკატი ყურადღებას სარეგისტრაციო განცხადებების განხილვის ვადების გახანგრძლივებაზეც ამახვილებს და აღნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე პასუხი უარყოფითია.

ქავთარაძის განმარტებით, აუცილებელია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების შესახებ“კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლის თანახმადაც, აღიარების კომისია ვალდებული იქნება, განცხადება გამარტივებული წესითა და პროცედურებით განიხილოს. აღნიშნული პროცედურები კი მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი კანონმდებლობაში.

**bpn.ge**

# რა ხდება ნაგომარსა და ბახვში და როგორ დაეხმარა სტიქიით დაზარალებულებს ხელისუფლება




ტიზებულ შენობაში ვცხოვრობთ. ჩვენი სოციალური ქულა -48 510 და სოციალურ დახმარებას ვიღებთ. თავად ხედავთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი სახლი. სახურავი შესაცვლელია. ამიტომ მივმართეთ შარშან მუნიციპალიტეტს დახმარებისთვის. მოვიდნენ, ნახეს სიტუაცია და სამშენებლო მასალები მოიტანეს: 1,7 კუბური მეტრი. მეტრი ხის კოჭი, 0,8 კუბური მეტრი ლარტყა,180 კვ. მეტრი სახურავის თუნუქი, ლურსმანი და ა.შ. სამწუხაროდ, შარშან ვერ შევძელით გადახურვა, წელს გადავხურავთ, - დასძინა ოჯახის დიასახლისმა თინა გაგუამ.



- შარშანდელი პროგრამა გადახურვას არ ითვალისწინებდა წელს თანასოფლელების თანადგომის იმედი გვაქვს. ჩვენ ყველანაირად დაგვუდგებით გვერდში - გვეუბნება გრიგოლ გოგიბერიძე.

სოფელ ნაგომარში კიდევ ერთი, 23 აპრილს სტიქიისაგან დაზარალებული ზოია კოსტავას ოჯახი მოვინახულეთ.

- დიდი საქმე გაგვიკეთა ხელისუფლებამ. სოციალურად დაუცველები ვართ. შვილი შშმ პირია და განსაკუთრებულად მოვლას საჭიროებს. ქარმა სახურავი მთლიანად დაგვიზიანა. მოვიდნენ, აზომეს, მოიტანეს ხის კოჭები, ფიცარი, 133 კვ. მეტრი თუნუქი, ლურსმანი... მოვიდნენ ხელოსნები და გადაგვიხურეს. ჩვენს მდგომარეობას ადგილზე გაეცნო მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე. მადლობა მათ. ამას ვერასდროს ვერ შევძლებდით. - ამბობს იგი.

სოფელ ნაგომარში კიდევ ერთი, ლუიზა ცქვიტიშვილის სახლი გადახურეს. სამშენებლო მასალები (ხის კოჭი, ე.წ „ლარტყა,"თუნუქი) გადასცეს ლევან წიტაიშვილის, შაქრო ახალაძის, ნოდარ ბიჭიკაშვილის ოჯახებს.

სოფელ ბახვში ჟანა გაგნიძის ფიცრული სახლი ავარიულ მდგომარეობაშია. დღეს ავარიული სახლის გვერდით ბეტონის სახლი დგას.

- შარშან დახმარებისთვის ხელისუფლებას მივმართე. ადგილზე ნახეს ჩემი მდგომარეობა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურის უფროსებმა და დახმარებას შემპირდნენ. სახლში მომიტანეს 1500 ცალი ბლოკი, 4 ტონა ცემენტი, 3 კუბური მეტრი ხის მასალა, თუნუქის სახურავი. ავაგეთ და გადავხურეთ ახალი შენობა. ახლა გვინდა დაზამთრებამდე ერთი ოთახი მაინც მოვაწყოთ- აღნიშნა ჟანა გაგნიძემ.

საუკუნეს მიტანებულ სახლში ცხოვრობს გურამ ლომთაძის 4 სულიანიგურამ ოჯახი. მისი 30 წლის ვაჟი შშმ პირია. ოჯახის სარეიტინგო ქულა 68 000. მათ სახლის სახურავი 23 აპრილის სტიქიამ დაუზიანა.

- მოვიდა კომისია და ნახა მდგომარეობა. შემდეგ მოიტანეს სამშენებლო ხის მასალა, თუნუქი და გადაგვიხურეს -გვითხრეს მათ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებულმა ბახვის თემში გოჩა შარაშენიძემ კიდევ ერთ ოჯახში გვთხოვა მისვლა.

მარტოხელა სერგო მარკოიანის „ბელ-ეტაჟი" სახლი ავარიულ მდგომარეობაშია. მას შარშან მიუმართავს თემების მუნიციპალიტეტისთვის დახმარებოდნენ სამშენებლო მასალებით. მუნიციპალიტეტს მისთვის 2,3 კუბური მეტრი ხის მასალა



და 23 ცალი სახურავის თუნუქი გადაუცია. თუმცა სერგომ სახლის გადახურვა ვერ შეძლო.

- ზამთარში შენობა კიდევ უფრო ავარიული გახდა და მისი გადახურვა არასწორი იქნება. ამიტომ დამატებით უნდა ვთხოვო მუნიციპალიტეტის გამგეობას სამშენებლო ბლოკი, ცემენტი და არმატურა გამოუყონ, რომ ახალი საცხოვრისი ააშენოს —გვითხრა სოფლის რწმუნებულმა გოჩა შარაშენიძემ.

სოფელ ბახვში სამშენებლო მასალებით და თუნუქით დაეხმარენ დარეჯან დუმბაძის, ნანული ნიკოლაიშვილის ელგუჯა ბაჯელიძის ოჯახებს.

-ორმოცი წელია პატარა „კუხნა" სახლში ვცხოვრობთ. ამჟამად 5 სული ვართ. რომ არა ხელისუფლების ყურადღება, სახლის მშენებლობას როგორ შევძლებდი. დახმარება ვითხოვე და გვერდით დამიდგნენ. 1500 ცალი ბლოკი, 100 ცალი არმატურა, ხის კოჭები და 90 კვადრატული მეტრი თუნუქი გადმომცეს. თანასოფლელები ამომიდგნენ მხარში და მშენებლობაც დავიწყე - თავისი სიხარული გაგვიზიარა მინდია გოგოძემ.

ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა გოჩა აბაშმაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაახლოებით 2000 სახლამდე გადაიხურა ან სამშენებლო მასალით დაეხმარნენ ოჯახებს. ეს პროცესი გაგრძელდება — გვითხრა აბაშმაძემ.

# რელიგიის როლი და გავლენა პოლიტიკურ პროცესებში




**ალიონი.** 2 აგვისტოს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დისკუსია თემაზე: რელიგიის როლი და გავლენა პოლიტიკურ პროცესებში.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ დეკანოზი ვახტანგი (თოხაძე), სოფ. მაკვანეთის წმინდა ხარების სახელობის ტაძრის წინამძღვარი; პადრე გაბრიელე (ბრაგანტინი), წმ. სტეფანეს სახელობის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი და თემურ გორგაძე, მუსლიმთა სამმართველოს მუფთის მრჩეველი, თეოლოგი.

დისკუსიას ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები,ოზურგეთის მუნიციპალიტეტების დეპუტატები, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოსა და ქალთა კლუბის წევრები, ჟურნალისტები. დისკუსიას დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კოორდინატორის მოადგილე თამარ კუპრაძე უძღვებოდა. შეხვედრა საარჩევნო მედიაცენტრის ფარგლებში წარიმართა.

შეხვედრის დასაწყისში ამ თემაზე მოკლე ისტორიული ექსკურსი ისტორიკოსმა კახა ვასაძემ გააკეთა.

დისკუსია საინტერესოდ წარიმართა .

ერთ-ერთი კითხვა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთან ასეთი გახლდათ: როგორ უწყობენ ისინი ფეხს თანამედროვე მოთხოვნებს?

**პადრე გაბრიელეს** აზრით, მხოლოდ ტრადიციებით და ფუნდამენტური საეკლესიო ლიტერატურით (ბიბლია, ყურანი), ხედვას რელიგია ფუნდამენტალიზმამდე მიჰყავს, ამიტომ მათ გაზეთიც უჭირავთ ხელში და გარკვეულად ერევიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნა ისიც, რომ ხშირად, პოლიტიკური ჯგუფები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაპირებებს არ ასრულებენ მათთან მიმართებაში.

-პოლიტიკაში ქალების ჩართულობა არ არის პრობლემა. პრობლემა არის შედეგი. დისკრიმინაცია არის და არ საუბრობენ. იდეოლოგია გახდა გენდერული? რატომ. გენდერული საკითხი თავიდან თანასწორობა იყო და სულ სხვა გახდა, შედეგია სხვა, — აღნიშნა მან.

თეოლოგ **თემურ გორგაძის** აზრით,პოლიტიკური ხმები მაღალმთიანი ხულოს თუ კახეთის ისეთი ადგილებში, სადაც რელიგიური უმცირესობები ცხოვრობენ, ხელისუფლებას მიაქვს.ეს გახლავთ რელიგიური უმეცრების, პოლიტიკური გაუნათლებლობის შედეგი.მათ ეზარებათ წაიკითხონ პოლიტიკური გაერთიანებისა და დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამა და ურჩევნიათ მოლას თუ იმამის აზრი გაიზიარონ. შედეგი. მუსულმანურ რელიგიაში სასულიერო პირი არის მეჩეთში და ის არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში.

ისლამში მხოლოდ სულიერი ინსტიტუტია, ქართულში, ქრისტიანობაში ეს ასე არ არის. ასევე ქალებისთვის კვოტის დაწერაც, ზოგადად, დისკრიმინაციაა, გენდერული საკითხი მოდა გახდა და დონორები ამას აფინანსებენ -აღნიშნა გორგაძემ.

**მამა ვახტანგმა** თავისი აზრი დააფიქსირა და ნაადრევად დატოვა შეხვედრა:— ჯვრის დაკიდება და ნათლობა არ ნიშნავს, რომ ადამიანი ქრისტიანია. ფემინისტების პოზიციას, საზოგადოების გახლეჩა ჰქვია- ქალს თავისი ფუნქცია აქვს, მამაკაცს — თავისი. სადაც ჰარმონია არაა,იგი ყველაფერს დაანგრევს —აღნიშნა მან.

**ოთარ რევიშვილი,** არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი: — საქართველოს ყველა მოქალაქეს იცავს ქართული კანონმდებლობა; სახელმწიფოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გაფორმებული აქვს კონკორტადი; თუმცა რეალობაში სხვაგვარად გვხვდება. პოლიტიკაში გვჭირდება ქალი ლიდერები! ძალიან ცუდი სტატისტიკაა, ნაადრევი ქორწინების და ოჯახური ძალადობის, სელექციური აბორტების თვალსაზრისით!

**ნინო გოგუაძე,** ქ. ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: —საქართველოს მოქალაქეებს სრული უფლება უნდა ჰქონდეთ,რომ ილოცონ; საარჩევნო სიებში აუცილებელია ქალთა კვოტები; ფემიციდის კანონი რომ ჩავარდა საქართველოს პარლამენტში, მის შედეგს აშკარად ვხედავთ.

**ეკა ნინიძე,** ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო: არა მგონია საქართველოში რელიგიური ნიშნით მოქალაქეებს პრობლემა ექმნებოდეთ. მაგრამ, რა თქმა უნდა,სხვადასხვა რელიგიური კონფესიების გავლენა არის საარჩევნო პროცესზე. ჩვენ გვახსოვს ახლო წარსულიდან ოზურგეთის სინამდვილე. გვქონდა სოფლები, რომლებსაც ე.წ. „ხმების ბეღელს" უწოდებდნენ. ეს იყო ცუდი გამოცდილება, დღესდღეობით ეს გამოცდილება ოზურგეთისთვის დავიწყებულია, ამის მაგალითად ნასაკირალის შუალედური არჩევნების გახსენებაც გვეყოფა. რაც შეეხება ქალთა როლს პოლიტიკაში, ერთმნიშვნელოვნად, მათ სჭირდებათ მეტი მოტივაცია, მეტი წახალისება და უფრო მეტი ქალი უნდა მოვიდეს პოლიტიკაში, თუმცა მე პირადად ეკა ნინიძე არ ვეთანხმები ქალთა კვოტირების საკითხს, ეს სხვა შეხვედრის თემაა და ამ თემაზე არა ერთი აქტივობა ჰქონდა გენდერულ საბჭოს, მე პირადად არ ვეთანხმები,. რადგან ქალი ვარ ამიტომ არ მეკუთვნის კვოტა,თუმცა ეს. თემა სხვა დროს უფრო ღრმად და დეტალურად განსახილველია.

**ინგა სირაძე,** პედაგოგი: —არასამთავრო ორგანიზაციები გენდერული თანასწორობის თემებს აშუქებენ ისე,როგორც მათ აწყობთ, რადგან დონორები მათ კარგად აფინანსებენ. ძალადობა სოციალური ფონიდან გამომდინარე არის ფსიქოლოგიური დარღვევა.

წინა ხელისუფლების ბოლო არჩევნების დროს, იმჟამინდელმა მმართველმა პარტიამ არჩევნები წააგო გუბერნატორის სოფელ შემოქმედში და გამგებლის სოფელ ლიხაურში. ამ დროს მოიგეს ეკომიგრანტებით დასახლებული დაბები. ერთ-ერთი ამომრჩეველი შეეკითხა ლაითურელებს:—შემოქმედში და ლიხაურში გზაც აქვთ,წყალიც და გაზიც,მმართველმა პარტიამ იქ წააგო არჩევნები,თქვენ — არც ერთი გაქვთ, თქვენთან კი რატომ აძლევთ არსებულ ხელისუფლებას ხმას ? მათ თქვეს, რომ ხოჯას თხოვნა შეასრულეს.(?!) ამიტომ ძალიან ნუ გამოვიდებთ თავს, რომ რელიგიური უმცირესობები არ უჯერებენ, ვთქვათ, ხოჯას თუ მოლას.

პოლიტიკური ელფერი ჰქონდა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატის **ბესო ქათამაძის** გამოსვლას, რომელმაც აღნიშნა, რომ დაბაში მეჩეთის მშენებლობაზე ჯერ თანხმობა იყო ხელისუფლებიდან, ხოლო შემდეგ შუალედური არჩევნებისას - ხელშეშლა.

გაზეთ „ალიონის" კითხვაზე, დაესახელებინა ხელისშემშლელთა გვარები, ქათამაძემ თავი შეიკავა. მანვე აღნიშნა, რომ დაბის ცენტრში ჯერ თანხმობა მისცენ ეკლესიის მშენებლობაზე მამა ნიკოლოზ სვანიძეს. ხოლო შემდეგ მიწის ნაკვეთის გადაცემაზე უარი უთხრეს.

დისკუსიაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორი კახა ვასაძე, გაზეთ „ალიონის" რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ლადო ვადაჭკორია, სტუდენტი ნიტა ცერცვაძე, საზოგადოების წარმომადგენელი ირინა გიგინეიშვილი.

როგორც ითქვა, არჩევნების დასრულების შემდეგ მსგავსი შეხვედრა კვლავ გაიმართება.

## ცოცხალი - live

**ფეისბუქსივრცეში მეორე ღია ეთერის სტუმარი გახლდათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიო კილაძე. ჩვენ ვისაუბრეთ ოზურგეთზე, ჩვენს თეატრზე, რომლის სარემონტო სამუშაოების ხმა გასდევდა საუბარს, წიგნიერებაზე, ციფრული წიგნების პროექტებზე, განათლებზე, რომელიც მარტო დიპლომს არ გულისხმობს, მშობლებზე, შვილებზე - "ოზურგეთი, გურია არის ჩემი სამყარო... ჩვენი მშობლების გავლენით შექმნილი პროდუქტი ვართ... " - თუ დაინტერესდით, გამოგვყევით.**

# „ტრაგედიას გაუნათლებლობაში ვხედავ“



**გიო კილაძე:** „ - მოგესალმებით, ძალიან უჩვეულო ფორმატის გადაცემაა, მაგრამ ყველაფერ უჩვეულოში ძალიან ბევრი კარგია მოსალოდნელი. დავიწყებ იმით, რომ დავიბადე აქ, დავამთავრე მახარაძის მეორე საშუალო სკოლა, ამ სკოლის წინაც და უკანაც საბავშვო ბაღია, რომლებშიც ორივეში მომიწია ყოფნა. ძალიან კარგი პირველი მასწავლებელი მყავდა, ქალბატონი ლოლა თავართქილაძე. ყოველთვის კარგი პედაგოგები მასწავლიდნენ, ამ მხრივ ძალიან მიმართლებდა.

ეს ადგილი ძალიან საყვარელი ადგილია. ზოგადად თეატრი და ყველა ის ხალხი მიყვარს, ვისაც თეატრი უყვარს. იყო დრო, როცა ვამტკიცებდი, რომ თეატრი გაცილებით დიდი ხელოვნებაა ვიდრე კინო. არ მქონდა ნიჭი არც მსახიობობის, რეჟისორობის, სცენარისტობის და ვერ წავედი ამ მიმართულებით.

დავამთავრე თსუ საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი, ვიმსახურე საბჭოთა ჯარშიც, შემდეგ დავამთავრე თბილისის მენეჯერის სკოლა, ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. ვიყავი გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორი ათი წლის განმავლობაში. ახლა ვმუშაობ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ხან ვწერ და ეს ხან ისე ბევრია ხშირად, რომ შემდგომში წიგნის დაწერაც მიწევს. ორი წიგნი, უფრო სწორად, კრებული დავწერე. ყოველ შემთხვევაში რაც დაიბეჭდა - გაიყიდა.

**— საკმაოდ ბევრი პროექტის ავტორი, ხელმძღვანელი ხართ...**

— ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ამ პროექტების განხორციელებაში. ბედნიერი ვარ, რომ კარგ ადამიანებთან ვმუშაობ, ბიბლიოთეკაში ვმუშაობ, რომელიც მუდმივად ვითარდება და ბევრ საინტერესო რამეს აკეთებს.

თუ მკითხავ, რომელი პროექტია უფრო მნიშვნელოვანი, დაწყებული სამოქალაქო განათლების კოლექციიდან, რომელსაც მამარდაშვილის კოლექციას უწოდებენ, ძალიან კარგი პროექტია, ზოგადი განათლების სფეროში ძალიან კარგია „ეროვნული ბიბლიოთეკა სკოლას,“ რომელიც მოიცავს ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შესული ნაწარმოებების გაციფრებას, აუდიო ჩანაწერებს მათ შორის, რაც მხედველობადაქვეითებულებისთვის არის მნიშვნელოვანი. მართალია არ არის პროფესიონალების წაკითხული, მაგრამ კარგი აუდიოჩანაწერებია, ბევრ პროფესიონალს შეშურდება, ისეთი.

ეს ყველაფერი შეიძლება ნახოთ ეროვნული ბიბლიოთეკის გვერდებზე- **http://www.nplg.gov.ge/.** იქ არის „მწვანე ბუ“, „ლურჯი ბუ“, ლექსიკონები... აქ ბევრი რამის ნახვა შეიძლება და მათ შორის იმ პროექტებისაც, რომელთა განხორცილებაში მეც ვმონაწილეობდი.

**— ბატონო გიორგი, თქვენი მხატვრული ნაწარმოებების თემაა წიგნები, ავტორები, მკითხველი... როგორ ფიქრობთ, თანამედროვე საქართველო არის წიგნიერი და მკითხველი?**

— მჯერა, რომ დღეს კითხულობენ ბევრად მეტ კარგ ლიტერატურას, ვიდრე ჩემი თაობა კითხულობდა. თუმცა არ ვნანობ, რაც წავიკითხე, მაგრამ დღეს ერთ მესამედს არ წავიკითხავდი.

ყველა წიგნიდან რაღაცას სწავლობ, მაგრამ ჩემს შვილს არ ვურჩევდი საბჭოთა პერიოდის ზოგი წიგნის წაკითხვას.

**— ანუ მასწავლებლები, მშობლები შვილების გზამკვლევი უნდა იყოს წიგნის არჩევისას?**

— თუ რამე შედგა ჩემგან ეს არის ჩემი მშობლების და პედაგოგების მაქსიმალური ხელშეწყობის შედეგი. მართლა, თანამედროვე ბავშვები ბევრს კითხულობენ. კარგი თაობაა, იციან რა უნდათ, ცრუ იმედების გარეშე, პრაქტიკულები არიან. არ დავმალავ, ბოლო ათი წიგნიდან შვიდი შვილების რჩევით წავიკითხე. აქედან, ხუთი მართლა უნდა წამეკითხა. მესმის, რომ კინომ გაასწრო, ჯერ ფილმს ნახულობენ. ეს არაა ტრაგედია, ტრაგედიას, საერთოდ, გაუნათლებლობაში ვხედავ. განათლება კი უწიგნოდ არ მოდის.

საქართველოში განათლებული ადამიანი მეტია, ჩემს ირგვლივ ასეა ყოველშემთხვევაში.

**— რა არის განათლება წაკითხული წიგნები, დიპლომი?**

— არა, ზოგჯერ დიპლომი ფარატინა ქაღალდია, ცენზის გარეშე ძალიან ძნელია, თუმცა შეიძლება გქონდეს განათლება და არ ფიქრობდე დიპლომზე. ეს არჩევანია. მთავარია განათლება, რაც არ მიიღება ბევრი ორგანიზაციის დახმარების გარეშე. თუ სკოლაში არ სწავლობ, დაწევა გაგიჭირდება. დღეს წასაკითხს ხვალ ველარ წაიკითხავ, რომც წაიკითხო, ველარ მიიღებ იმ ემოციას, წიგნი თორმეტი წლის ბავშვისთვისაა დაწერილი და შენ ხარ თხუთმეტის. ამიტომ რაღაცნაირად უნდა მივყვეთ ამას.

**— სამოქალაქო განათლების საკითხებზეც გიმუშავიათ, რამდენად გვაქვს ჩვენ ეს განათლება და შესაბამისი აქტივობა?**

— როგორ გავხდეთ მოქალაქე - ამას გვასწავლის სამოქალაქო განათლება. რა წესებით, როგორ უნდა ვმოქმედებდეთ, რა არის შენი და როგორ უნდა დაიცვა, რა არის სამართლიანობა... ძალიან დიდი თემაა. ძალიან ბევრ წიგნს მოვუყარეთ თავი ჩვენი ელექტრონული ბიბლიოთეკის ერთ კოლექციაში.

**— ერთი წიგნი დაგვისახელეთ.**

— პირველად წავიკითხე „გამოხატვის თავისუფლება“ ზურაბ ჭიაბერაშვილის ნათარგმნი წიგნი. არაფერი ვიცოდი სამოქალაქო განათლების შესახებ...

**— როგორი გაგხადათ სამოქალაქო განათლების მიღებამ?**

— ბევრს დაინახავ სხვანაირად, ბევრი რამე ვიცოდით, ოღონდ სხვა მცნებებით გვასწავლიდნენ. შევქმენით უნივერსალური ციფრული სასკოლო ლექსიკონი, სადაც არის დაახლოებით ორი ათასი ტერმინი, აქედან ათას ხუთასი, გამოკითხვის შედეგად შევიდა. ძალიან დიდხანს შეიძლება ამაზე საუბარი.

**— ალბათ ამ თემას სხვა დროს დავუბრუნდები. ვსაუბრობთ წიგნიერებაზე, ლექსიკონებზე, ქართულ ენაში ბარბარიზმების დიდი დოზით მომრავლებაზე რას იტყვით? იყო დრო რუსული სიტყვები და კალკები გვახასითებდა, ახლა ინგლისურია „მოდაში“.**

— კი, ადრე იყო ქართული საზოგადოება, რომელიც საერთოდ, რუსულად ლაპარაკობდა. ეს გავლენები ყოველთვის იყო. ჩვენ იმდენად ლამაზი და მდიდარი ენა გვაქვს, რომ ეს არ უნდა გააკეთო. ჩნობილი "ბარბარიზმების ლექსიკონიდანც" შევიტანეთ "უნივერსალურ ლექსიკონში" ბევრი ტერმინი.. სჯობს ილაპარაკო და წერო ქართულად. არ გამოიყენო ლათინური შრიფტი. ზოგჯერ ვამბობ „არაქართულად" და მერე ვბრაზდები საკუთარ თავზე... ქალბატონი ნინა ხელაძე მასწავლიდა, ადამიანი არ ბრაზდება, ჯავრობსო.. გამახსენდა. გოგა ჩანადირს დიდი მადლობა აქედან, რომელიც ხმალამოღებული იბრძვის, რომ ყველაფერი იყოს ქართული, წარწერები, ორგანიზაციების დასახელება და ასე და ასე შემდეგ.

**— ბატონო გიო, თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ყრმობის ქალაქი, თეატრის მიდებარე ბაღი, სადაც ახლა ვსხედვართ.**

— კი, შემიძლია გავიხსენო, რომ პირველად თეატრში ვიყავი სკოლიდან, კვირას, თორმეტ საათზე. იყო ცოტა ხალხი. ვნახე მიხაკო ორაგველიძის დაწერილი პიესის მიხედვით რეჟისორ ვასო ჩიგოგიძის „მეცამეტე თავმჯდომარე“, შეიძლებოდა მეთქვა ბატონი მიხაკო, მაგრამ ეს პიროვნება ასე სახელით და გვარით იყო ცნობილი. მახსოვს მსახიობები რომან ლომინაძე, ამირან ქადეიშვილი, ახლაც შემიძლია მთელი სპექტაკლის მოყოლა. ძალიან კარგი იყო. მახსოვს სპექტაკლი ალექსეი კოლმიაცევის, უკრაინელმა რეჟისორმა დადგა. „ველური ანგელოზი“, თამაშობდა ბატონი ნუგზარ ბარამიძე, ჩემი მეზობელი. ბედნიერი ვიყავი, საღამოს ჩემს დასთან ერთად წავედით თეატრში მახსოვს განუმეორებელი ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“. ეს იყო შეხვედრა ვასილ ჩიგოგიძესთან, ჩემი სკოლის მასწავლებლის იზა პროცენკოს შვილი, დათო კვერღელიძე ვეზირის როლში, მართლა წელში მოხრილი მეგონა, ძალიან კარგად თამაშობდა. ნეტავ სად არის ახლა... მახსოვს თეატრის დეკადები თბილისში, 1983-84 წლების შემდეგ დიდიხანი არ მინახავს არაფერი, ვწუხვარ. სამაგიეროდ ბატონ გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრა ვნახე გადავსებულ დარბაზში.

ბატონი გიო ოზურგეთის თეატრში ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით შექმნილ სპექტაკლზე მივიპატიჟე. მან კი გაიხსენა და დადებით შეაფასა ჩემი პირველი „ფბ ეთერი“ ნოდარ დუმბაძის მეუღლესთან, ქალბატონ ნანული დუმბაძესთან და ისიც სიამოვნებით აღნიშნა, რომ მისი რჩევის შედეგად კამერა უკვე ჰორიზონტალურად მეჭირა და სივრცე კარგად იყო შევსებული.

**— მშობლებზე არ გვისაუბრია, ცალკე აღსანიშნავია თქვენი დამოკიდებულება, უშუალო და ღრმა ფეისბუქჩანაწერები ამასთან დაკავშირებით.**

— მამაჩემმა ორასზე მეტი ნაწარმოები მომიყვა ბავშვობაში და მერე მეც ვცდილობდი მომეყოლა ჩემი შვილებისათვის. რაც მეტი წელი მემატება, ვხდები, რომ მასწავლებლების და მშობლების გავლენების პროდუქტი ვარ. 7-11 წლამდე დაღამება მიხაროდა მამაჩემის მონათხრობების გამო, თან წინასწარ არ ვიცოდი რას მოყვებოდა. სად ჰქონდა ასეთი მახსოვრობა მიკვირს. მძაფრად მახსოვს ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“, ნიუანსებით, ბალზაკის „მამა გორიო“, „გობსეკი“, სტენდალის „წითელი და შავი“, დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“. ღმერთი არ უხსენებია, ფინგანის პარტიის მდივანი იყო, მაგრამ ზუსტად მახსოვს, რომ თქვა, განცდით თქვა, მთავარ გმირს ჯვარი ჩაუდო ხელში თუ ბიბლია.

**— გსურთ აქედან მიმართოთ გურიას?**

— კი. ძალიან მიყვარს გურია, არ ვანსხვავებ რაიონების მიხედვით. აქ ვარ ის, რაც ვარ ნამდვილად. არ მიჭირს თბილისში ცხოვრებაც, მაგრამ აქ არის ჩემი სამყარო. ხან მიწის დამუშავება მირჩევნია კარგი წიგნის წაკითხვას. ასე გავიზარდე, რომ უნდა გიყვარდეს მიწა, მშობლები, წიგნი, საერთოდ ბევრი რამ უნდა გიყვარდეს თუ გინდა რამეს მიაღწიო. ალალად ვამბობ, რომ არ ვიცი რამეს თუ მივაღწიე, მაგრამ ვიცი, რაც შეუძლებელი იქნებოდა მშობლების, მასწავლებლების, წიგნის და რაც მთავარია, გურიის სიყვარულის გარეშე.

**ლია კილაძე**

# ძველი ოზურგეთის ქრონიკები

**სული მარტო დამიანებს არა აქვთ, სული შენობებსაც, ქუჩებსაც, ბაღებსაც აქვს, მაგრამ ეს სული მათი არ არის, არამედ იმ ადამიანებისაა, ვისაც იქ უცხოვრიათ, იქ უმუშავიათ, ყოველი კაცი, თავის სიცოცხლის თავისი სულის ნაწილს ტოვებს იქ, სადაც ცხოვრობდა, სადაც საქმიანობდა.**

**აკაკი ბაქრაძე**



**დიმიტრი გურიელის ყოფილი სასახლე**

სახელწოდება ჩვენი ქალაქისა „ოზურგეთი“ მეცნიერთა აზრით წარმოიშვა ძველკოლხური სიტყვისაგან“ოზურგი“, რაც დღევანდელ ქართულში ნიშნავს „საზურგეს“და საზურგე ნიშნავს არა მარტო ადამიანის ან ცხოველის ზურგს არამედ მაღლობ ადგილსაც, რადგან პირველყოფილი მიწათმოქმედი ტომები ცხოვრობდნენ მაღლობ ადგილებზე.ამდენად ზემოთდასახელებული ადგილი ნიშნავდა სამოსახლო ადგილს. „გურია ,როგორც ადმინისტრაციული ერთეული ეგრისის (ლაზეთი) ადრეფეოდალური სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოიშვა ..გურიის პირველი ერისთავთ-ერისთავი,რომელსაც ჯერჯერობით ვიცნობთ ვარდან ვარდანიძეაიხსენიება ჯუმათის წმინდა გიორგის ხატის ასომთავრულ წარწერაში.გურიის ერისთავთ-ერისთავების რეიდენცია იმ დროს (IXს.)ლეხაური არის სავარაუდებელი, ციხეშივე ჰქონდათ კარის ეკლესია ,ხოლო ცოტა მოშორებით საგვარეულო საძვალე. ვარდანიძეები მრავლად იხესენიებიან საისტორიო წყაროებში,მაგრამ თუ რომელ მათგანს უჭირავს გურიის ერისთავთ-ერისთაობა ძნელი დასადგენია პავლე ინგოროყვას აზრით ეს სახელო თითქოს სვანთა ერისთავს უპყრია“(იური

სიხარულიძე „ქრონოლოგიური ძიებანი“).

ჭოროხ-რიონის შუამდინარეთში აღმოცენებულ გურიას ვარდანიძეთა ძლიერი ფეოდალური სახლის (გვარის)შთამომავლები განაგებდნენ.ჯერ-ჯერობით ჩვენთვის ცნობილი ერისთავთ-ერისთავი კახაბერ I ვარდანიძეა.მოვიდა კახაბერ გურიას დაჯდა მეფის მოხელედ ოზურგეთის მახლობელ ექადიაში წმ.გიორგის ეკლესია ააშენა.ამ ტაძრის ასომთავრული წარწერა გვამცნობს:“ქ.სახელითა ღრთისაითა არვაშენე ესე ეკლესია პატრონმან კახაბერ,ეკლესია აქა აღაშენა სადიდებლად და სალოცავად(სა)? სუელისა მათისა“. პატრონს ერისთავთ ერისთავსა თელადას(?)პატრონი ერისთავი კახაბერი ამ წარწერაში ნახსენები პიროვნება კახაბერ პირველი ივარაუდება.კახაბერ პირველის შესახებ შემონახული ძეგლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიხაურის ღვთისმშობლის ხატის ასომთავრული წარწერა ქორონიკონი მ(40):“ ყოვლად წმინდაო მეოხ და მფარველ ექმენ პატრონსა კახაბერს.“ეს წარწერა გურიის ეპიგრაფიკული ძეგლების ისეთ გამონაკლისთა რიცხვს განეკუთნება,რომელთა თარიღი (ქორონიკონი) უძლვით ქორონიკონი „მ“ (40) 1352 წელს შეესაბამება.აქედან ჩანს, რომ სიამე-14 საუკუნის 50-იან წლები აშენებულა.ამავე პოლიკიკურ მოღვაწეს უნდა გულისხმობდეს წმინდა გიორგის ეკლესიის ერთ წარწერა: „პატრონი ერისთავ ერისთავი და სუანთა ერისთავი „კახაბერი“ შევადაროთ შემოქმედის მაცხოვრის ასომთავრული წარწერა „ქ.ხატო ღვთაებისაო მეოხ და მფარველ ექმენ ერისთავთ ერისთავს და სუნთა ერისთავს კახაბერს“.კახაბერ პირველის თანამეცხედრეს ანა რქმევია.ვისი სახლიშვილია ერისთავთ ერისთავის მეუღლე ან მისი ცხოვრების სხვა ფაქტები ჩვენთვის ჯერ-

▶▶▶ გვ-6

# ოზურგეთის თეატრმა 149-ე სეზონი სოფელ გურიანთაში დახურა

## კარგი საქმე ბიუჯეტის დაუხმარებლად



**ალიონი**. 30 აპრილს ალ. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო თეატრმა 149-ე სეზონი გურიანთის კულტურის სახლის სცენაზე დაასრულა.

გურიანთელების სასახელოდ უნდა ითქვას, მათ დროებითი ადგილსამყოფელი მოუწყვეს ოზურგეთის თეატრს, რისთვისაც სპეციალურად გაარემონტეს გურიანთის კულტურის სახლის შენობა, უფრო სწორად, შენობის ნაწილი, სადაც სცენა და დარბაზი მოეწყო. გარდა ამისა, სოფელმა თეატრს შეუძინა და აჩუქა მიკროავტობუსი.

თეატრმა გურიანთელებს ნოდარ დუმბაძის „გიჟები“ წარმოუდგინა (შოთა ბაბილოძის დადგმა). უნდა აღინიშნოს, რომ ახლადგარემონტებულ დარბაზში მთელი სოფელი იყო წარმოდგენილი, რომლებიც ემოციებს ვერ მალავდნენ.

გურიანთაში 30-40 წლის წინ შესანიშნავი ღონისძიებები ტარდებოდა, სახალხო თეატრიც მუშაობდა.სწორედ ამ ტრადიციის აღდგენის მიზნით სოფელმა უანგაროდ, ერთობლივი ძალისხმევით აღადგინა აქამდე უფუნქციოდ დარჩენილი შენობა. ამის სათავეში იყვნენ დავით კვაჭანტირაძე, ბონდო ღლონტი, კოტე ჩიკაშუა, დავით დოლიძე და სხვები.

სოფლის დეპუტატის, ბონდო ღლონტის სიტყვებით არცერთი თეთრი დახარჯულა ბიუჯეტიდან, ყველაფერი გაკეთდა სოფლის მოსახლეობის ყველა თაობის ფიზიკური შრომითა და ფულადი შემოწირულობით.თუ ასე ერთიანი ვიქნებით, ვიქნებით ძლიერი, ამტანი და გამტანი. ასეთი ერთობით ბევრს შევძლებთ. ამის წინაპირობა ის გახლავთ, რომ სოფლის კულტურის სახლთან მოქმედებდა სახალხო თეატრი, სადაც დადგმებს გურიანთის სკოლის პედაგოგი შოთა მჟავია ახორციელებდა. დღესაც გვახსოვს ამ თეატრის დადგმა „ბაში აჩუკი“, რომელშიც მთავარ როლებს ამ სოფლის მკვიდრნი ჯემალ შარაძე, თამაზ ჟღენტი ასრულებდნენ.. თუ შევძელით კულტურის სახლის მთავარი დარბაზის აღდგენა, მას ალისა იშხნელის (დიდი დამსახურება მიუძღვის სოფლის კულტურის სახლის წარმატებებში, ახალგაზრდულ ცენტრს ხელმძღ ვანელობდა) სახელი გვინდა ვუწოდოთ, - აღნიშნა მან.

ვასილ ჩიგოგიძე, თეატრის სამხატვრო ხელძღვანელი: —სიამაყე მავსებს, მიხარია, რომ ოზურგეთში არის ასეთი სოფელი, მადლობა მუხლჩაუხრელი, უანგარო შრომისათვის. აქ შრომობდა მუნიციპალიტეტის რწმუნებული გურიანთაში კოტე ჩიკაშუა, დეპუტატიც, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი... მადლობა ამისათვის და მომავალში რაც იქნება იმისათვისაც. კი, რაღაც მასალა მოვიტანეთ, მაგრამ ამას საქმე უნდოდა. შეიძლება იყო ცინიზმიც, ნიჰილიზმიც, თითქოსდა გურიანთის სახალხო თეატრი გავხდით...ბედნიერი ვარ, რომ შევძელით და შედგა დღევანდელი დღე. აქ ვითამაშებთ საბავშვო სპექტაკლებსაც და ფილმებსაც გავუშვებთ. მადლობა თეატრს თავდაუზოგავი მუშაობისათვის.

სპექტაკლს ვაჟა ფშაველას სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი გოგა ჩანკვეტაძე ესწრებოდა, რომელმაც თავისი თბილი დამოკიდებულება გამოხატა როგორც ოზურგეთის თეატრის წარმატებული დადგმის, ისე გურიანთელების გარჯის მიმართ.

გურიანთის კულტურის ცენტრში სცენისა და დარბაზის მოწყობისთვის ასევე უანგაროდ იშრომეს თეატრის თანამშრომლებმა.



# თეატრის დირექტორის ამპლუაში

## განვაგრძობთ ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჭანუყვაძის საარქივო ჩანაწერებიდან პუბლიკაციების ბეჭდვას

1972 მარტში იმდროინდელმა რაიონის ერთ-ერთმა თავკაცმა ნოდარ მდინარაძემ მიხმო და მითხრა:

-ჩვენი პარტიული დავალებით, სათავეში უნდა ჩაუდგე ოზურგეთის თეატრს. მსურველი, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ არჩევანი შენზე შევაჩერეთ...

იმხანად თეატრში მართლაც ერთობ რთული მდგომარეობა სუფევდა: უკვე წელიწადზე მეტი დრო გავიდა, რაც თეატრი უდირექტოროდ მუშაობდა. ბატონი ბეჟან ნაკაიძე, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა კულტურის ამ უაღრესად მნიშვნელოვან კერას და თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა ორგანიზატორმა, ნიჭიერმა მსახიობმა და რეჟისორმა, თეატრის შიგა ინტრიგებს შეეწირა... შეწირვა აქ იმიტომ ვახსენე, რომ ეს ნამდვილად ასე მოხდა... მან, როგორც კეთილშობილმა და ბევრი რაიმის გულთან მიმტანმა კაცმა, სიკეთის სანაცვლოდ უმადურობა და დაუფასებლობა იწვნია...

თეატრის დირექტორობა შეთავსებული ჰქონდა კულტურის განყოფილების გამგეს გივი თავაძეს...

თეატრში ყველა ახლად მისულს გარკვეული ეჭვით უყურებდნენ; ერთ ხანს მეც ვგრძნობდი ეჭვიანი მზერის სუსხს... თუმცა მისი ერთგვარი გაფანტვა მაშინ ვიგრძენი, როცა კულტურის სამინისტრომ უყოყმანოდ დამამტკიცა და გადმომცა სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარის რწმუნება.

შევქმენით ახალი სამხატვრო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით.

თეატრის 110-კაციან კოლექტივთან მალე გამოვნახე საერთო ენა...

ვერ ვიტყვი, რომ იმ 5 წელიწადში, რომელიც თეატრის დირექტორად დავყავი, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩვენ გვინდოდა,— იყო წარმატებები და ჩავარდნებიც...

იმ დროისთვის თეატრში სამი აშკარად გამოკვეთილი თაობა მოღვაწეობდა. ესენი იყვნენ: ლამარა თურმანიძე, ანა ანდღულაძე, ვლადიმერ ბაჯელიძე, ვალოდია დოლიძე, შურა ცქიტიშვილი, გრიგოლ კალანდაძე, მადლენა დონაძე, გაბრიელ მდინარაძე, გივი ახმეტელი, ამირან ქადეიშვილი, ზაირა თოთიბაძე, სერგო ლომიძე, ვაჟა ვადაჭკორია, ომარ ურუშაძე, ნუგზარ ბარამიძე, ბადრი მჟავანაძე, ლილი ლომჯარია, სოლომონ კიკვაძე, ჩვენი მოწვევით მოვიდნენ ქეთევან კუბუსიძე და რუსუდან ჩხაიძე, ასევე ოთარ კუტალაძე, რომელიც შემდგომში თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა.

სადადგმო ნაწილს ხელმძღვანელობდა რეზო სარიშვილი. დასის გამგე გახლდათ იური ჯიჯიეშვილი.

თეატრის მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე ჩაბარებული ჰქონდა თეატრსა და ქართულ ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებულ კაცს მიხეილ გოლიაძეს.

ე. წ. შუა თაობის მსახიობებიდან თეატრის ბურჯად მაინც გაბრიელ მდინარაძეს ვთვლიდი. იგი 50-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა სასცენო ასპარეზზე და უმალ აგრძნობინა ოზურგეთელ მაყურებელს, რომ ისინი არიან მდიდარი თეატრალური ტრადიციების გამგრძელებელნი. თავისი დაუღალავი შემოქმედებით გაბომ მიაღწია, რომ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მოიპოვა.

ნუგზარ ბარამიძე და ომარ ურუშაძე იმ დროისათვის მსახიობთა ახალი თაობის პლეადას მიეკუთვნებოდნენ.

თეატრში გატარებული ხუთი წელიწადი ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო.

რეჟისორად მოვიდა ახალგაზრდა, პერსპექტული შემოქმედი, ოზურგეთელი ვასილ ჩიგოგიძე, რომელმაც რამდენიმე ახალი დადგმა განახორციელა, მათ შორის დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“ და ვ. მაკარენკოს „ტრიბუნალი“.

ცოტა ხანში იგი ზუგდიდის თეატრის მთავარ რეჟისორად გადაიყვანეს საშა ეგუტიას რეკომენდაციით.

ოზურგეთის თეატრს კი მთავარ რეჟისორად დაუნიშნეს სერგო ახალაძე.

ბატონი სერგო ადრე მსახიობად მუშაობდა ოზურგეთის თეატრში, შემდეგ გაიარა სარეჟისორო სტაჟირება და არცთუ ურიგო რეჟისორი დადგა. საქართველოს სხვადასხვა თეატრში მან ბევრი კარგი დადგმა განახორციელა, მაგრამ ხანგრძლივად დამკვიდრება ვერსად მოახერხა, თავისი შეუპოვარი და დაუდგრომელი ხასიათის გამოისობით.

სერგომ რამდენიმე სპექტაკლი დადგა ჩვენთან, მათ შორის შემოქმედებითი თვალსაზრისით საუკეთესო იყო შ. ქურდიანის „ათენელი ექიმი“ და ეგნატე ნინოშვილის (შ. დადიანის ინსცენირებით) „ნინოშვილის გურია“...

აღნიშნული პიესის დადგმა მას რამდენიმე ხნის წინათ ჰქონდა განზრახული. მაშინდელმა როლების გადანაწილების პროცესმა თვალნათლივ დამანახა, რომ ეს იყო მთელ დასზე გამიზნული სპექტაკლი, სადაც სცენის მუშები და ზოგიერთი მეგარდერობეც კი იყო ჩართული მასობრივი სცენების გასამდიდრებლად...

„ნინოშვილის გურია“ ადრე დაიდგა მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრში მწერლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

მან საქვეყნოდ აღიარა, რომ მისი ოცნება იყო ამ სპექტაკლის ხორცშესხმა და მისი ოზურგეთის თეატრში ჩამოსვლაც ამ სანუკვარ მიზანს ემსახურებოდა.

მე ყველანაირად გვერდში დგომა და ფინანსური მხარდაჭერა აღვუთქვი. მის ფინანსურად უზრუნველსაყოფად მოვიწვიეთ შესანიშნავი მხატვარი მამია მალაზონია. სერგო ახალაძეს ხელთ ჰქონდა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლისთვის შ. შველიძის მიერ მიერ სპეციალურად დაწერილი მუსიკის პარტიტურა, რომელიც უნდა შესრულებულიყო ცოცხალი ორკესტრის მიერ.

გამოვძებნეთ ოზურგეთში მომუშავე ძველი ორკესტრანტები: დიმიტრი კალანდაძე, ძმები ამირან და ავთო ჭანიშვილები, კოტე ჩხაიძე, ილია გოლიაძე; დირიჟორად მოვიწვიეთ ზესტაფონში მოღვაწე მუსიკოსი ზალიკო ლოლაძე. ზა კოსტიუმები უსასყიდლოდ გადმოგვცა მარჯანიშვილის თეატრმა.

მთელი თეატრალური დასი უანგაროდ და ერთგვარი სიხარულით შეუდგა ფრიად საინტერესო შემოქმედებით მოღვაწეობას.

სპექტაკლი ოზურგეთის პირობაზე ერთობ შთამბეჭდავი გამოვიდა.

პრემიერას მრავლად დაესწრო ლანჩხუთელი და ჩოხატაურელი მაყურებელი. ფოიეში სასურველი სტუმრებისთვის ღია საბანკეტო წვეულება გაიმართა.

სერგო ახალაძეს, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, აღნიშნული წარმატება, რომ იტყვიან, ერთგვარად თავში აუვარდა...

ერთ დღესაც სამინისტროში მეკითხებიან, როგორ მიდის თქვენი მზადება რუსთაველის თეატრში გამოსასვლელადო... უმალ ელდა მეცა, რადგან ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი... მეგონა, „მსახიობის სახლში“ უნდა გამოვსულიყავით, სადაც არაერთი წარმოდგენა გაგვიმართავს...

-ისე კი, უნდა იცოდეთ, თქვენს თეატრში რა ხდება!..

მაშინ ველარ მოვითმინე და ვთქვი:

-სერგო ახალაძე აქ მე არ მომიწვევია, თქვენ გამოაგზავნეთ სამინისტროდან... არც ამ სპექტაკლზე მოგიკითხავთ ჩემი და სამხატვრო საბჭოს შეხედულება!..

-იცი, მაგას ვინ მფარველობს!.. - ხაზგასმული გაგულისებით მითხრა ერთ-ერთმა დასის წევრმა.

წარმატებული სპექტაკლის დადგმით გამოწვეული ეიფორია ჩავლილი იყო.

თვითონ პიესას არ ჰქონდა ერთიანი სიუჟეტი. იგი მოიცავდა ცალკეულ ფრაგმენტებს ნინოშვილისეული ნაწარმოებებიდან.

-ბატონ სერგოს კარგი სპექტაკლი გამოუვიდა და გაბედულადაც ვითამაშებდით, რომელიც გნებავთ თეატრში, ოღონდ არა რუსთაველის თეატრის უზარმაზარ სცენაზე... მსახიობებიც კალაპოტიდან ამოვარდებიან, თანაც ცხინვალში დაგეგმილი გასტროლების პერიოდში...

ამასობაში დროება უშეღავათოდ იცვლებოდა. იცვლებოდა რაიონის ხელისუფლებაც, მათი პოლიტიკური შეხედულებანიც. წესად დამკვიდრდა წინა თაობათა მუშაობისა და გამოცდილების გადაფასება. ქვეყანა თანდათან ეფლობოდა კორუფციის ჭაობში. მედროვეებს იპყრობდა განდიდების მანია.

რაიონის ერთ-ერთმა მესვეურმა ერთხელ ასეთი ფრაზა წარმოთქვა:

-თეატრში რომ შემოვდივარ, თითოეული ლურსმანი მიცნისო!..

ჩვენმა ენამოსწრებულმა გივი ახმეტელმა მაშინვე აიტაცა ეს ფრაზა და კვერიც დაუკრა:

**(აღნიშნული მოგონებების გაგრძელებას მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).**

# ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ჯერობით უცნობია.კახაბერი და ანა ეტყობა უშვილონი ყოფილან .გარდა წყაროების დუმილისა ამასვე მოწმობს XIV საუკუნის 60-იან წლებში გიორგი მეორე დადიანის უმცროსი ძის (კახაბერის) გურიელად დასმაც".(იური

სიხარულიძე,"ქრონოლოგიური ძიებანი").წარწერები ცხადად მიუთითებენ, რომ გურია საერისთავთ-ერისთავთო ქვეყანა იყო .XI საუკუნიდან გურიის ერისთავებად ისხდნენ ვარდანიძეთა წარმომადგენლები. XIII-XVს-ში"გურიის ერისთავები ჯერ ერისთავებად ისხდნენ ,შემდეგ კი დამოუკიდებელი მთავრები გახდნენ.გურიელად იწოდებოდა გურიის გამგებელი-ფეოდალური სახლის უფროსი,სახლის სხვა წევრები ბატონიშვილებად. ძირითადი რეზიდენცია იყო ოზურგეთი, საგვარეულო საძვალე-მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესია შემოქმედში.

როგორც პირველ წერილში ავღნიშნეთ ოზურგეთი წერილობით წყაროებში მოხსენიებულია XVI საუკუნეში ბერი ეგნატაშვილის ,,ახალი ქართლის" ცხოვრებაში:" მაშინ გიორგი გურიელმან (იგულისხმება გურიის მთავარი გურიელი გიორგი როსტომის-ძე)ყო ეგრეთ დაიჭირა დათულია და დაატყვევა ოზურგეთს და საჯავახო თვითონ დაიპყრო(ქართლის ცხოვრება წიგნი 2 თბ.1959წ.გვ. 362).

ოზურგეთს თავის ნაშრომში" საქართველოს გეოგრაფია" იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი,სადაც აღნიშნავს;" ამ წალზედ......

ვახუშტიმდე ერთი საუკუნით ადრე ოზურგეთი მოხსენიებულია ქაიხოსრო გურიელის სიგელში:" მოგვიხდნენ და შუა გურია დაარბიეს და შენს მეტი ღონე აღარ მქონდა და შიგ თქვენს ტაძარში შევიკაზმენით,მოვედით ოზურგეთს, სასახლეში, გამაგრდნენ ისინი"

ოზურგეთი ,როგორც ციხე-სიმაგრე მოხსნიებული აქვს 1854 წელს მარქსს თავის სტატიაში""მოგონებები რუსეთ-თურქეთის საომარ მოქმედებათა ასპარესზე".რუსეთ-თურქეთის 1853-56 წწ. ომის დროს მარქსი აღნიშნავდა:"ერთდროულად სელიმ-ფაშას ჯარეები წმ. ნიკოლოზის სიმაგრიდან (შეკვეთილიდან) წაიწია წინ ოზურგეთისკენ, საიდანაც რუსები ხშირად აწუხებდნენ და ემუქრებოდნენ კიდეც და აიძულა რუსები დაეცალა ეს ციხე-სიმაგრე,ამ გამარჯვებამ უზრუნველყო სელიმ-ფაშას კავშირი ყარსში მყოფ თურქეთის მთავარ ძალებთან".

ქალაქი ძველის-ძველი არ უნდა იყოს, ყოველშემთხვევაში ოზურგეთის სიძველეს დღეს არაფერი ამბობს. ერთადერთი ქვითირის გალავანია დარჩენილი ქალაქის ბაღის გვერდით,ისიც სანახევროდ დანგრეული,შიგ მოთავსებულია სამსართულიანი ქვითკირის შენობა ადგილობრივი ,,დრუჟინის" ბინა,(ეს შენობა დაშლილი იქნა 1950 წელს იმ ადგილას კაფე-პავლიონი ააშენეს 1957 წელს.) ეს გალავანი მამია Vგურიელის დროს არის ნაგები 1812-1814 წლეებში- სწორედ ამ გალავანში სადაც ახლა დრუჟინა დგას მამია V გურიელს სასახლე აუშენებია,უწინ კი უჩხობში (დვაბზუს საზოგადოებაში) ცხოვრობდა თურმე"......შესანიშნავია აგრეთვე ოზურგეთში 1873 წელს აგებული სახლი დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელისა .მამია V-ის ბიძაშვილისა, სადაც ამჟამად ,,დრუჟინის" სავადმყოფოა მოთავსებული"( დიმიტრი ბაქრაძე) (წინათ სამოქალაქო სასწავლებელი იყო, შემდეგ პოლიკლინიკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ამჟამად შემოქმედის ეპარქიის რეზიდენციაა მ.ლ.)

1862 წელს ოზურგეთს სტუმრობდა გურიაში მყოფი პრუსიის სამეფოს პრინცი ალბერტ ჰოჰენცოლერნი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა, როგორც ქალაქი ასევე სტუმრობა დიმიტრი გურიელის სასახლეში:" ქალაქი მომაღლო ადგილზე მდებარეობდა უფრო დაბლა, საიდანაც გზა ქალაქში შედიოდა ბაზარი იყო, თვითონ ბაზარი რამდენიმე ხის სახლს წარმოადგენდა. ქალაქში მაღლობის ქიმზე (კონცხზე) ეკლესი აიდგა :უცხოელი მოგზაურის სიტყვით ოზურგეთი 1862 წელს პატარა დასახლება უფრო იყო, ვიდრე ქალაქი, მაგრამ 1846 წლიდან ქალაქად იყო გამოცხადებული. სტუმარი აღფრთოვანებას ვერ ფარავს მის საპატივცემულოდ ოზურგეთის თავადაზნაურთა კაზინოში გამართული ბალის გამო, რომელსაც 300 კაცი ესწრებოდა,რაც სტუმარს წარუშლელ მოგონებად დარჩენია:"კავკასიაში მოგზაურობის დროს ასეთი რამ არსად მინახავს და ამ შთაბეჭდილებას ვერ ფარავს თვით მოსკოვის კრემლის სასახლეში,რუსეთის იმპერატორის კარზე მოწყობილი ბალის გახსენებაც, უზარმაზარ დარბაზებში ბრწყინვალე განათებით და შემკულობით. ამის მიზეზი გურული მამაკაცების და ქალების ჩაცმულობაა.. ბალი შუაღამემდე გაგრძელდა, მღეროდნენ ოთხმიან მელანქოლიურ სიმღერებს ტექსტი არ გვესმოდა, მაგრამ მელოდიის მომხიბლელობამ გაგვაოცა. პრინცი აღწერს დიმიტრი გურიელის სასახლეში სადილს, რომელიც ევროპულ ყაიდაზე იყო ,ვერცხლის ჭურჭლით. აღწერს გურიელის მანერებს და გურულების გაეგნობას.მისი სიტყვებით მოსაზრება - შავსა და კასპიის ზღვას შორის ადამიანთა უმშვენიერესი სახეობა სახლობს არსად ისე არ იგრძნობა, როგორც გურიაში"..... დიმიტრი გურიელის სასახლეში ნამდვილი აღმოსავლური ფუფუნება სუფევდა ,სარკეები, ხალიჩები და სხვა, საწოლ ოთახში მაგიდაზე იდო ნაპოლეონ მესამისა და ინგლისის დედოფალ ვიქტორიას სადილ-ვახშამზე მოსაწვევი.

**მანანა ლომაძე**

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი


იყიდება

სოფელ ჭანიეთში საყანე ფართობი (გამოდგება თხილის გასაშენებლად) 4.000 კვადრატული მეტრი.

დაგვიკავშირდით: (551) 00 30 18

* * *

შეკვეთილში 1500 კვადრატული მიწის ნაკვეთი „ციცინათელას" გვერდით.

დაგვიკავშირდით (599) 18 00 28


# სკანვორდი




## № 30-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — თამარ მდინარაძე; ჩასაბარებელი — თავანი; კურორტი რაჭაში — უწერა; კაენის ძმა — აბელი; ორპიკიანი მწვერვალი სვანეთში — უშბა; ... პუგაჩოვა — ალა; ,,ჩვენი ეზოს" პერსონაჟი — ვასასი; საქართველოს ბულბული — აკაკი; დიდება — ვივა; პედაგოგი — მასწავლებელი; პაპა — ბაბუა მდინარეც, ბოსტნეულიც — კამა; აღდგენა — რესტავრაცია — ელექტროხელსაწყო — რელე; ქალაქი იმერეთში — ზესტაფონი; კუზიანი ცხოველი — აქლემი; ძვირფასი ლითონი — — ოქრო; წყალქვეშა კლდე — რიფი; მეცნიერების ერთ-ერთი დარგი — ქიმია; საწერი საშუალება — ფანქარი; მხარე საქართველოში — ქართლი; აჭარის ყოფილი ლიდერი — ასლანი; თხელი წყალი მდინარეში — ფონი; ტყის მცველი — ეგერი; კრივის მოედანი — რინგი; მდინარე ციმბირში — ნია; შეძახილი კორიდაში — ოლე; ქალაქი რაჭაში — ონი; ქსოვილი — ნარმა; ორი იაქე ნარდში იაგანი; ქალის სახელი — თეო; მინის ჩხირი — წკირი; ძილის მოკიდება — რული; დაწესებულება — ორგანიზაცია; ხმის არეკვლა — ექო.

# ქალაქი ოზურგეთი

## სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №29-30 2017 წელი)

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი



ოზურგეთის ხედი ექადიიდან. ერმაკოვის ფოტო

ადამის მოდგმის ბავშვობის ნაკვალევი ოზურგეთის მიდამოებშიცაა დავანებული. ანასეულის ტერასებზე ფუძედებულ ნეოლითურ სადგომებში ჩვენი შორეული წინაპარი ქვაში კვეთს ცეცხლეული შთაგონებით ათი ათასი წლის წინარე პერიოდის ხელოვნებას: „აქ ყოველი მიწის ნაკვეთს აზის ბეჭედი პირველადისა და შორეულის".(გრ. რობაქიძე)

ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან 3 კმ-ის დაშორებით ჟამთა მდინარებასთან მორკინალი ნეოლითური სადგომებია: „გიგიბერიას ნაკვეთი", „მეტეოსადგურის შემოგარენი" და „მიწის ციხედ", სახელდებული არეალი. ორი მეტრი სიღრმისა და ოთხმოცი მეტრი სიგრძის თხრილი შემოუყვება მას გასწვრივ.

აკად. ნიკო ბერძენიშვილი მიწის ციხის შესახებ აღნიშნავდა: „ეს თხრილი შესაძლებელია იყოს ალიზით ნაშენი ციხის ნაშთი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს სახელწოდება ხელოვნურად მოზღუდული ბორცვისა მიწის ციხისა (ლ.ნებიერიძე, ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ. 1972, გვ.16)

ოზურგეთის შემოგარენის - „მიწის ციხე და მისი მიმდგომი ბორცვოვანი ზოლი გარემოცულია მდინარეთა ფართო ქსელით. ბორცვს ჩრდილოეთიდან ჩაუდის ნისლოვან -ტყვიისფრად მზირალი აჭის წყალი და მიერთვის მდინარე ბჟუჟს. ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით ანკარა ღელე ლე-ჩემა, იგივე „ლე-ჯუმა" ჩაედინება", რომლის წიაღში იმთავითვეა გაჩენილი ანარეკლი, ძირი და ფუძე ქართველთა ნორმალური პანთეონის ჯუმასი. საიდანაც უნდა წარმოქმნილიყო სახელწოდება IX ს-ის სამონასტრო კომპლექსით ცნობილ სოფლისა -ჯუმათი.

აქ, ამ შემოგარენში, ამ ბორცვოვან ზოლში, გურიელთა ძველი სატახტოს-ოზურგეთის მიდამოებში იქნა მიკვლეული სამი ათას ერთეულზე მეტი ვულკანური მინისობსიდიანის, რვაასი ერთეული კაჟისა და ორმოცდაათი ერთეული (შესანიშნავად დამუშავებული) იარაღები: ქვის ცულები, სატეხ-სათლელები, ჩაქუჩები, თოხები-ანალოგიური ცივი მღვიმის საგვარჯილეს და ჯერმუხის სადგომებში მიკვლეული ნივთიერი კულტურის შესანიშნავი ძეგლებისა.

„მიწის ციხემ" შემოგვინახა სამი ათას შვიდასი ერთეული კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშები, შემკული და დამშვენებული ჭდეებით, გრიფებით, ფოსოებიანი, ტეხილხაზოვანი, რელიეფური და ირიბბეჭდიანი ორნამენტებით.

ქალაქის დასახლებაში ისტორიული მოიდანახის სერზე, მოიდანახის გორაკზე იაკობ შემოქმედელის ქუჩის დასაწყისში იპოვა იოსებ ქუთათელაძემ 1500 წლის წინარე დროჟამის თიხის სარკოფაგი, ანალოგია გურიანთაში, ნარუჯასა და ურეკში აღმოჩენილ სარკოფაგთა ნაშთებისა. მსგავსი გარემოების შესახებ ჯერ კიდევ 1928 წელს გაზ.„კომუნისტი" წერდა „ოზურგეთის რკინიგზის გათხრის დროს, სადგურ ნატანებიდან 12 ვერსტზედ,სოფელ სკურდულში (სკურდუმი ე.გოგუაძე) ნახეს ძველი კუბოები გამომწვარი თიხისაგან. ამ მეტად საინტერესო არქეოლოგიურის მხრით ნაპოვნმა უნდა მიიპყროს ადგილობრივ მკვლევართა ყურადღება და დაუყონებლივ უნდა იქნეს იქ გაგზავნილი მცოდნე პირები გამოკვლევისა და მუზეუმისათვის ყველა საინტერესო ნივთების შესაკრებად."

მსგავსად მოიდანახის მიდამოებში მიკვლეული სარკოფაგისა, 1500 წლის წინარე დროჟამით თარიღდება ქალაქის განაპირას, გოგებაშვილის ქუჩაზე, ი.სირაძის კარმიდამოში ნაპოვნი რკინის ცული, ხოლო ქალაქის დასავლეთით ადრე ეწერად სახელდებულ მერმინდელ სოფელ ოზურგეთში ნაპოვნი სპილენძის შუბის პირი, რომელზედაც გამოსახულია ირემი ბორჯღალო რქებით, ძირი და საფუძველი გურიის სამთავროს მერმინდელი სადროშო ღერბისა, შველი და ცისკრის ვარსკვლავი რომ ამშვენებს, ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულს განეკუთვნება.

ქალაქის მიდამოების ინტენსიური დასახლების გამო ძნელდება ამ ადგილებში არქეოლოგიურ მასალათა ძიება, მიგნება და გამოვლენა, მაგრამ ზემოხსენებულ ნივთიერი კულტურის ძეგლთა ქრონოლოგიური ზღვარის ზოგადი განსაზღვრებაც კი ცხადად მოწმობს, რომ გურიელთა სატახტოში, ძველი ოზურგეთის სანახებში სიცოცხლის ძალუმი მაჯისცემა დაიწყო შორეულ ნეოლითურ ხანაში, რის შემდგომაც იგი უწყვეტ ნაკადად წარიმართა „ელვარე რვალის"-სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის იარაღების დამკვიდრების ეპოქაში.

გურიაში არქეოლოგიური ექსპედიციის ჩასატარებლად საგანგებოდ მოვლინებული პროფესორი ოთარ ჯაფარიძე წერდა. „გურია არქეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელია. უკანასკნელი წლების რიგი შემთხვევითი აღმოჩენები მოწმობს იმას, რომ საქართველოს ეს კუთხე ძალზე საინტერესოა. (განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კაჟის, ობსიდიანის და ქვის იარაღები. ანასეულის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის ტერიტორიაზე რომაა მოკვლეული... საყურადღებოა მოზრდილი ბრტყელი ქვის ნაჯახი გულის ფორმისა)...

კაჟისა და ობსიდიანის ნატეხებიდან გამოირჩევა საფხეკები, საჭრისები, დანები... გარდა ამისა დიდძალი მასალა ინახება (ინსტიტუტის თანამშრომლის) ტექნოლოგ ვიქტორ პავლეს ძე შარკოვსკის კერძო კოლექციაში.

შარკოვსკი კარგად იცნობს ამ მხარეს, და კარგა ხანია ეწევა ნივთების შეგროვებასა ძეგლების აღნუსხვას. მან გვიჩვენა თავისი კოლექციის ერთი ნაწილი, რომელიც აგრეთვე კაჟის, ობსიდიანის და მოზრდილი გათლილი ქვის იარაღებისაგან შედგება. აშკარაა რომ იგი ნეოლითური ხანისაა.

... ჩვენ დავათვალიერეთ აღმოჩენის ადგილები. ნეოლითური ხანის ძეგლები აქ ძირითადად ორგან გვხვდება. ერთი ანასეულის ინსტიტუტის მეტეოროლოგიურ სადგურთანაა. აქ ზედაპირზე დიდი რაოდენობით გვხვდება ობსიდონისა და აქა-იქ კაჟის ნატეხები.

მეორე ნეოლითური კერა იმყოფება ყოფილი ტექნიკუმის შენობის მახლობლად „მიწის ციხეზე"... აქ დიდი რაოდენობით გვხვდება კაჟისა და რიყის ქვის იარაღების ნატეხები. სწორედ აქ იპოვა ვიქტორ შარკოვსკიმ ორი შესანიშნავი ქვის ნაჯახი.

...გარდა ნეოლოთური სადგომებისა ანასეულის ტერიტორიაზე ჩვენი ყურადღება მიიქცია დამწვარი თიხის ფენამ და მადნის შემცველმა ცალკეულმა კერებმა. ოზურგეთის მხარეთცოდნეობის მეცნიერ-თანამშრომლის მაკარი თავდუმაძის თქმით იგი ამ რაიონში ორმოცდაათამდე ამგვარ კერას იცნობს. ჩვენ კერა შევამოწმეთ, თხრა დავიწყეთ (მექი) ბზიავას საცდელი ნაკვეთის გვერდით - საირმიაზე... თხრილიდან დიდი რაოდენობით ამოდიოდა წიდა და მადანის ნატეხები... შეგვხვდა მადნის რამდენიმე მოზრდილი ზოდი რომელსაც როგორც ჩანს, სპეციალურ თიხის ჭურჭელში ასხამდნენ... არ შევცდებით თუ ვიტყვით რომ აქ რკინის მისაღებ სახელოსნოსთან გვაქვს საქმე...

გარდა ანასეულის ნეოლითური და ადრე რკინის ხანის სადგომებისა, ოზურგეთის შემოგარენი ცნობილია მომდევნო პერიოდის ბრინჯაოს კულტურის მასალებით.

ენვერ გოგუაძე

## სულთათანა

# იური გოგუაძის მოსაგონარი



ეურჩებოდა წელთა სიმრავლეს. გული ერჩოდა, ისე უნდოდა საკუთარ ეზოში შრომა, როგორც ადრე. ზრუნავდა ნარგავებზე, ცხოველებზე. მაშინაც კი როცა ავადმყოფობა ამის საშუალებას არ აძლევდა ოჯახის წევრებს შეახსენებდა, ახლა რისთვის უნდა მიეხედათ.

ორჯერ დაობლდა. პირველად მაშინ, როცა სულ პატარას მამა გარდაეცვალა. მეორედ კი მაშინ, როცა სანათესაოს გადაწყვეტილებით დედას და ძმას დააშორეს და მოსკოვიდან ოზურგეთში ჩამოიყვანეს. თავს ევლებოდნენ მამიდები და ბიძები, თვალსჩინივით უფრთხილდებოდა ბებია, რომელსაც უდროოდ გარდაცვლილი შვილის სიცარიელეს უვსებდა. არაფერი აკლდა, მაგრამ დედის და ძმის მონატრება სულ თან სდევდა. თუმცა მათთან ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სატყეო მეურნეობაში დაიწყო მუშაობა და პენსიაში გასვლამდე ემსახურა თავის პროფესიას.

ოჯახს მოეკიდა. სამი არაჩვეულებრივი შვილის და უფრო არაჩვეულებრივი 4 შვილიშვილის ბაბუა გახდა. ამაყობდა თავისი მონაგარით.

40 დღე გასრულდა მას შემდეგ რაც ჩვენს შორის აღარ არის. ადრე თუ გვიან ღმერთი ყველას თავისთან იხმობს და გვჯერა რომ იური გოგუაძის სულმა სამარადისო სიმშვიდე მოიპოვა.

უახლოესი მეზობლები

## უფასო განცხადება ტალონი

### 90 ბეჭვდითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი" გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი", რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

# მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი რეგიონისა და ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში

## პროექტი დაზგური გრაფიკის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის



მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი ძირითადად შედგება 4 სტრუქტურული დანაყოფისაგან:

— №1 დარბაზი - „სალონი“ - გამოფენა - გაყიდვები.

— №2 დარბაზი - საგამოფენო გაყიდვები, ღონისძიების პრეზენტაციები.

— №3 დარბაზი - ფონდი(ფონდსაცავი) მუდმივი ექსპოზიცია.

— შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო „gurianART“ - დაზგური გრაფიკის სახელოსნო.

ცენტრი 28 წელია პოპულარიზაციას ეწევა თანამედროვე სახვითი ხელოვნების და ხალხური რეწვის სფეროში, თანამშრომლობს გურიის მხატვართა შემოქმედებით კავშირთან, რომლის ფარგლებში იმართება გურიის რეგიონის სავალდებულო „საგაზაფხულო და საშემოდგომო“ გამოფენები და ასევე აქვს მხარდაჭერა საქართველოს კულტურის ფონდის გურიის ფილიალთან ერთობლივ ღონისძიებებში.

ცენტრის მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს დაზგური გრაფიკის განვითარება და პოპულარიზაცია. ამისათვის შემოქმედებითი სახელოსნოს „gurianART“-ს გააჩნია შესაბამისი საბეჭდი დაზგა და პროექტის ფარგლებში მუნიციპალური ბიუჯეტით ახორციელებს როგორც სახელოსნოს წევრებზე, ასევე მოწვეული მხატვრებისათვის შემოქმედებითი პროცესის უზრუნველყოფას.

პროექტის სამიზნე ამოცანებს წარმოადგენს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, ქართველი და უცხოელი პროფესიონალი ადამიანების მოწვევა ქ. ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის სტუდია-სახელოსნოს „gurianART“-ის ჭერქვეშ, მათთვის საინტერესო, თავისუფალი შემოქმედებითი სივრცის შექმნა თვისებრივად ახალ გარემოში და ოზურგეთელ მხატვრებთან ერთად, თანამშრომლობით პროექტებში საჭირო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

შარშან, 2016 წელს განხორციელდა პირველი პროექტი, რომლის ფარგლებში მოწვეულნი იყვნენ თბილისიდან გრაფიკოსები, 10 დღის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა შემოქმედებითი პროცესი, შედგა გამოფენა ოზურგეთში, შემდეგ კი თბილისში - ქორთიართ მარიოტის საგამოფენო სივრცე „შარდენში“, გამოიცა შესაბამისი ბუკლეტი.

ამ პროექტმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გრაფიკოსთა წრეებში, მათთვის ოზურგეთის გალერეა აღიქმება დაზგური გრაფიკის ცენტრად რეგიონთა შორის.

2017 წელს კი, ივლისში, ოზურგეთელ მხატვარ გრაფიკოსებთან ერთად, მოწვეულნი იყვნენ თბილისის სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი ვ. მეგრელიშვილი, მხატვარ-გრაფიკოსი ეკა ორაგველიძე, მხატვარ-გრაფიკოსი, ფოთის წარმომადგენელი გია გვიჩია, მხატვარ-გარაფიკოსი, თეატრის მხატვარი თამაზ დარჩია (ოზურგეთი), მხატვარ-გრაფიკოსი თანდილა თავართქილაძე (ოზურგეთი). შედგა 10-დღიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი პროცესი, პროექტი დავუკავშირეთ ტურიზმის ფესტივალს, რომელიც 23 ივლისს ჩატარდა ქ. ოზურგეთში, გალერეაში შედგა გამოფენის პრეზენტაცია, გამოიცა ამ პროექტის ფარგლებში შესაბამისი ლიფლეტი.

ტურიზმის ფესტივალზე და ჩვენს გალერეაში მოწვეული იყო ქლბატონი ნანა ყირმელაშვილი, რომელიც ა.წ. ივლისის თვეში ახორციელებდა ვორკშოპების სერიას პრინტის საერთაშორისო ფესტივალის „Life N Stylesa“თვის , რომლის ფარგლებშიც აგვისტოს თვეში გაიმართება ფესტივალი ქ. ბათუმში, რომელშიც მიწვეულია ჩვენი სტუდია-სახელოსნოს პროექტში მონაწილე წევრები, გამოიცა კატალოგი, რომელშიც სპეციალური გვერდი დაეთმობა ჩვენს ცენტრთან არსებული შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნოს მნიშვნელობას. „შემოქმედებითი მივლინება“ ოზურგეთში ცენტრის ერთ-ერთი ნოვაციური პროექტია, რომლის გლობალურ მიზანს სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, მან ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ისეთი კულტურული პლატფორმის ჩამოყალიბებას, რომელიც სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პროფესიონალ თუ დამწყებ ხელოვან ადამიანებს მისცემს შემოქმედებითი რეალიზაციის, თვითგამოხატვის, ნოვატორული იდეების განხორციელების, პროფესიული ზრდა-განვითარების საშუალებას.

გადაწყდა, რომ ყოველ წელს შემუშავდეს მსგავსი პროექტი, შემოქმედებითად დაიტვირთოს ჩვენი სტუდია-სახელოსნო „gurianART“-ი, რადგან მისცეს განვითარება ამ ჩვენში მივიწყებულ და უცხოეთში ძალზედ პოპულარული დარგს, რომელიც ხელით ბეჭდვად იწოდება, დაზგურ გრაფიკაში, დაე იყოს ერთ-ერთი საყრდენი შემოქმედებითი სივრცე, თანამედროვე სახვით ხელოვნებაში მოღვაწე ქართველ და უცხოელ შემოქმედთათვის. ეს პროცესი და შესაძლებლობა ჩვენს ქალაქს აძლევს ახალ თვისებრივ კულტურულ დატვირთვას, ამისათვის ყველა პროფესიულმა პირობამ მოიყარა თავი ჩვენს ცენტრში, როგორც შემოქმედებით სივრცის არსებობის თვალსაზრისით, ასევე მისი საგამოფენო სტანდარტის ჩათვლით. 28-წლიანი საქმიანობის ძალისხმევა, რომელიც უკვე ტრადიციულად იქცა, რასაც ემატება მუნიციპალური პატრონაჟიც და აქვს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, აძლევს საშუალებას ცენტრს, გრძნობდეს თანამედროვე სახვითი ხელოვნების ახალ რიტმს და არ ჩამორჩეს ავანგარდს, იმყოფებოდეს შესაბამის პროფესიულ დონეზე.

ყოველივე ეს არის ჩვენი რეგიონისა და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი კულტურული პოლიტიკის პროცესი და თანამედროვე ქალაქის ნოვაციური სახის წარმოჩენის შესაძლებლობა.



# მილოცვა



ბატონო რეზო

თქვენი ქართული სიდარბაისლის, ჭეშმარიტი მოქალაქეობის, გამორჩეული მამულიშვილობის, განვლილი თავდადებული შრომის გულწრფელი აღიარებით გილოცავთ განსაკუთრებულ იუბილეს, რვა ათეული წლის მხნედ, ენერგიულად, ღირსეულად გასრულებას!

ოზურგეთში და არა მხოლოდ ოზურგეთში სამივე თაობის წარმომადგენელი თქვენ, რეზო თავართქილაძეს, გიცნობთ არა როგორც რკინა-ბეტონის ქარხნის ყოფილ შეუდარებელ დირექტორს და გამოცდილ სამეურნეო მუშაკს, არამედ ყოველმხრივ საინტერესო მოღვაწეს, ქველმოქმედს, ყველა ადამიანური ღირსებით დაჯილდოებულ მამულიშვილს.

ათეული წლების მანძილზე ისე განვლეთ წუთისოფლის ოკრო-ბოკრო გზები, თქვენს სახელს, კაცურკაცობას ოდნავი ლაქა არ მიჰკარებია. ბოლომდე დარჩით მართალი საკუთარი თავისა და ქვეყნის წინაშე.

თქვენ შეგიძლიათ ამაყად თქვათ, ვტოვებ ნათელს საშვილიშვილოდ დასამახსოვრებლად.

დღეგრძელობას, მხნეობას და ულევ სიხარულს გისურვებთ თქვენს დიდებულ ოჯახთან ერთად.

გფარავდეთ უფალი.

მეგობრები.



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის სკოლის დირექტორი ავთანდილ სურგულაძე, პედაგოგები — ტრისტან სიხარულიძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ვასო ცეცხლაძე, მამუკა რუსიძე და მაია გელაშვილი, გურამ გუნთაძე, მესამე კლასის მოსწავლეები — გიორგი მორჩილაძე, ხარება ცეცხლაძე, ლევან ქოზაშვილი, თორნიკე მამალაძე, ვაჟა ზოიძე, ტატო მდინარაძე, ირაკლი მოქია, ვაკო სოსელია, გიორგი ბარამიძე, დემეტრე ლომჯარია დაბადების დღეს ულოცავენ ნოდიკო დონაძეს (მარცხნიდან პირველი, ჩონგურით). უსურვებენ მას წარმატებებს სწავლასა და შემოქმედებით საქმიანობაში. სიცოცხლის ბოლომდე ჰქონოდეს ქართული, მშობლიური ჰანგების სიყვარული და ხალისი.




ულამაზესი 300-კაციანი დარბაზი „Argo“ გიწვევთ:

ქორწილები 6 ლარიდან

514 03 80 03

558 56 24 05

ლიბერთი ბანკის გვერდით


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 7 აგვისტო ორშაბათი | 8 აგვისტო სამშაბათი | 9 აგვისტო ოთხშაბათი | 10 აგვისტო ხუთშაბათი | 11 აგვისტო პარასკევი | 12 აგვისტო შაბათი | 13 აგვისტო კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი |
| +21+32 | +20+29 | +20+28 | +20+28 | +20+26 | +19+26 | +18+24 |